ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
იურიდიული საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **10-01180803470**

თარიღი: **21.03.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილ ვაჟა გურჩიანის და სხვათა 2017 წლის 2 ნოემბრის N19/0117306652-01, ვაჟა გურჩიანისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „კერიის წარმომადგენლის რატი ქვარიანის 2017 წლის 13 ნოემბრის N19/0117317317-01 და ამავე საჩივრის ავტორების წარმომადგენლის, ა(ა)იპ „ჩემი ქალაქი - ქალაქის გულშემატკივართა და ქალაქზე მზრუნველთა ერთობის“ დირექტორის თეიმურაზ კალანდაძის 2017 წლის 1 დეკემბრის N19/0117335119-01 ადმინისტრაციულ საჩივრებზე მიღებულ გადაწყვეტილებას - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2018 წლის 21 მარტის N77 ბრძანების სახით.

დანართი: 11 (თერთმეტი) ფურცელი

პატივისცემით,

იურიდიული საქალაქო სამსახური - ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილება - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (განყოფილების უფროსი) მოვალეობის შემსრულებელი

ჯუმბერ ყანდარელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება №77

„21" მარტი 2018 წ.

ვაჟა გურჩიანის და სხვათა, ასევე, ვაჟა გურჩიანისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „კერიის" წარმომადგენლების: რატი ქვარიანისა და თეიმურაზ კალანდაძის ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2017 წლის 2 ნოემბერს, ვაჟა გურჩიანმა და სხვებმა წარმოადგინეს N19/0117306652-01 ადმინისტრაციული საჩივარი. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილ იქნა ვაჟა გურჩიანისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „კერიის" წარმომადგენლის რატი ქვარიანის 2017 წლის 13 ნოემბრის N19/0117317317-01 დაზუსტებული ადმინისტრაციული საჩივარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - „საბჭო") 2017 წლის 10 იანვრის N3041974 გადაწყვეტილების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში - „არქიტექტურის სამსახური") 2017 წლის 25 სექტემბრის N3563881 და 2017 წლის 6 ოქტომბრის N3592157 ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნით. იდენტური მოთხოვნით წარმოდგენილ იქნა ასევე ვაჟა გურჩიანისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „კერიის" წარმომადგენლის, ა(ა)იპ „ჩემი ქალაქი - ქალაქის გულშემატკივართა და ქალაქზე მზრუნველთა ერთობის" დირექტორის, თეიმურაზ კალანდაძის 2017 წლის 1 დეკემბრის N19/0117335119-01 ადმინისტრაციული საჩივარი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად, წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, 2017 წლის 9 ნოემბერს და 5 დეკემბერს გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომები, რომელზეც გამოცხადდნენ საჩივრის ავტორები: ვაჟა გურჩიანი, გულო ციხელაშვილი, გიორგი ჭანუყვაძე, მაია ჩარქსელიანი, ნატა ციწცაძე; ვაჟა გურჩიანისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „კერიის" წარმომადგენლები თეიმურაზ კალანდაძე და რატი ქვარიანი; მოწინააღმდეგე მხარის, არქიტექტურის

ქ. თბილისი 0160, ე. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

სამსახურის წარმომადგენელი სოფიო ჭირაქაძე; დაინტერესებული მხარის, შპს „ევროპული სამშენებლო ჰოლდინგის“ წარმომადგენლები ალექსანდრე მაისურაძე და ნათია გაგელიძე.

ადმინისტრაციულ საჩივრებში აღნიშნულია, რომ ქ. თბილისში, ვარკეთილის ზემო პლატოს მე-2 მ/რ, კორპ. N21-22-ის მიმდებარედ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები ზიანს აყენებს საჩივრის ავტორთა კანონიერ ინტერესებს. ასევე მითითებულია, რომ მშენებლობის განხორციელებით საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ სკვერამდე და მრავალბინიან საცხოვრებელ სახლამდე მისასვლელი გზით სარგებლობა გახდება შეუძლებელი.

საქმის განხილვისას გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომებზე საჩივრის ავტორები დაეთანხმნენ წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრებს და განმარტეს, რომ სადავო აქტები მიღებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, რაც წარმოადგენს მათი ბათილად ცნობის საფუძველს.

მოწინააღმდეგე მხარის, არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი არ დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და განმარტა, რომ სადავო აქტები გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, რის გამოც არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძვლები.

დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და აღნიშნეს, რომ სადავო აქტები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ამასთან, არ აყენებს ზიანს საჩივრის ავტორების კანონიერ ინტერესებს.

დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლევის შემდეგ, ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საჯარო რეესტრიდან 2017 წლის 30 ივნისის (2017 წლის 28 ივნისის N882017566676 განცხადება) ამონაწერით დგინდება, რომ ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, მე-2 მ/რ, N22გ-ში მდებარე N01.19.20.003.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ევროპული სამშენებლო ჰოლდინგი“.

საჯარო რეესტრის მონაცემებით დგინდება, რომ საჩივრის ავტორები წარმოადგენენ ქ. თბილისში, ვარკეთილი, ზემო პლატო, მე-2 მ/რ, N22-ში მდებარე (ს/კ: N01.19.20.003.009) მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში არსებული სხვადასხვა ინდივიდუალური საკუთრების საგნების მესაკუთრეებს.

საჯარო რეესტრის მონაცემებითა და საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ასევე დგინდება, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „კერია“ დაფუძნებულია ქ. თბილისში, ვარკეთილი, ზემო პლატო, მე-2 მ/რ, N21-ში მდებარე (ს/კ: N01.19.20.003.002) მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში.

არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინტერაქტიული რუკის მეშვეობით ირკვევა, რომ N01.19.20.003.009 და N01.19.20.003.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთები მდებარეობს N01.19.20.003.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ.

უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 11 ნოემბრის N2942055 ბრძანებით დადგენილ იქნა ქ. თბილისში, ვარკეთილის მე-2 მ/რ, N22 კორპუსის მიმდებარედ არსებული N01.19.20.003.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობის მიზნით.

ასევე უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 2 თებერვლის №1-235 ბრძანებით, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად, ქ. თბილისში, ვარკეთილის მე-2 მ/რ, N22 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.20.003.094) და კ2 განისაზღვრა 5.6-ით.

არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №3563881 ბრძანებით შეთანხმებულ იქნა ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, მე-2 მ/რ, N22გ-ში მდებარე №01.19.20.003.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი.

არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 ოქტომბრის №3592157 ბრძანებით გაცემულ იქნა ქ. თბილისში, ვარკეთილი, ზემო პლატო, მე-2 მ/რ, N22გ-ში მდებარე №01.19.20.003.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 ნოემბრის N1-2637 ბრძანებით დაკმაყოფილდა ვაჟა გურჩიანის და სხვათა შუამდგომლობა და შეჩერებულ იქნა არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 ოქტომბრის N3592157 ბრძანების მოქმედება განსახილველ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების (შემდგომში - „N57 დადგენილება“) 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით, განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა“. ამავე დადგენილების 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად, გარდა 38-ე და 39-ე მუხლებით დადგენილი შემთხვევებისა, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით

გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. ამავე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვის I სტადიას წარმოადგენს ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა, II სტადიას - არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, III სტადია - მშენებლობის ნებართვის გაცემა.

№57 დადგენილების 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის II სტადიაზე ხდება არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება. ამავე დადგენილების 46-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიას ამ დადგენილების შესაბამისად წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება. არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმებისათვის ნებართვის მაძიებელმა უნდა წარადგინოს არქიტექტურული პროექტი ან/და საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციული სქემა ან/და ტექნოლოგიური სქემა. მშენებლობის ნებართვის მიღების II სტადიაზე, მოწმდება წარდგენილი არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის, კონსტრუქციული ან ტექნოლოგიური სქემის შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის N3563881 ბრძანება წარმოადგენს სწორედ მშენებლობის ნებართვის გაცემის II სტადიაზე მისაღებ გადაწყვეტილებას. აღნიშნულ სტადიაზე კი, როგორც უკვე აღინიშნა, ხორციელდება წარდგენილი არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება.

საქმეში წარმოდგენილია არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 9 თებერვლის N60-01180404386 წერილობითი პოზიცია სადავო აქტებით შეთანხმებული და ნებადართული სამშენებლო სამუშაოების არქიტექტურული ნაწილის სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის თაობაზე. აღნიშნულ წერილში განმარტებულია, რომ სადავო აქტის გამოცემისას არქიტექტურული პროექტის დადებითად შეფასების მიუხედავად, დღეის მდგომარებით, არქიტექტურის სამსახურს გააჩნია განსხვავებული მოსაზრება პროექტის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც უკავშირდება ავტომანქანების პარკირებას. ამავე წერილის თანახმად, საკითხი, ერთ შემთხვევაში, ეხება მიწისქვეშა ავტოსადგომებში სამანქანო ჩასასვლელის (პანდუსის) მოწყობას, რომლის ქანობების, მოხვევის რადიუსის, ავტოსადგომის სართულზე შესვლა-გამოსვლის და მანქანების მოძრაობა-მანევრირების სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობა დამაჯერებლობასაა მოკლებული, დამკვეთის მხრიდან დეტალური ნახაზების წარმოუდგენლობის გამო; მეორე შემთხვევაში კი, საკითხი ეხება მიწისზედა ღია ავტოსადგომებს, რომელთა სიგანე (2.50 მ) არ შეესაბამება ნორმებით გათვალისწინებულ ზომას (2.70 მ) და ამასთან, ვინაიდან ხსენებული ავტოსადგომები დაპროექტებულია უშუალოდ კვარტალური სამანქანო გზის სავალი ნაწილის კიდესთან და ამავდროულად - მართობულად, ავტომანქანების შესვლა-გამოსვლა ვერ იქნება უზრუნველყოფილი დამატებითი მანევრირების გარეშე, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს მოძრაობის

შეფერხებას საერთო სარგებლობის გზაზე. წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტით არქიტექტურის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია სათანადო ზომების მიღება, დამკვეთის მიერ ზემოხსენებული საკითხების დაზუსტებისა და საჭიროების შემთხვევაში, არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეტანის მიზნით და განმარტა, რომ სამსახური სათანადო ღონისძიებებს განახორციელებს განსახილველ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდგომ და მისი შედეგებიდან გამომდინარე.

ამდენად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების თანახმად, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება მიწისქვეშა და მიწისზედა ღია ავტოსადგომების მოწყობას, არ არის სრულ შესაბამისობაში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან. ამასთან, აღნიშნული უზუსტობები, რომელიც დაშვებულია არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას, წარმოადგენს იმ ტიპის ხარვეზებს, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს არამხოლოდ თავად შენობა-ნაგებობის ავტოსადგომების ექსპლუატაციასა და პარკირების უსაფრთხოებაზე, არამედ გამოიწვიოს მოძრაობის შეფერხება საერთო სარგებლობის გზაზე. შესაბამისად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის N3563881 ბრძანებით არქიტექტურული პროექტის შეთანხმება განხორციელდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის გარეშე.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო დამატებით მიუთითებს „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში საჯარო ინტერესებს განეკუთვნება: ქვეყნის დასახლებებისა და დასახლებათაშორისი ტერიტორიების მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობების უზრუნველყოფა, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება, ბუნებრივი რესურსების, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და განვითარება. თუ სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ღონისძიებები ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს, უნდა დაისვას მათი შეწყვეტის საკითხი“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში კერძო ინტერესებს განეკუთვნება: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ინტერესები, დაკავშირებული მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ობიექტების) სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვასთან და განვითარებასთან, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში არსებობასთან. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საჯარო ინტერესებს, ხელყოფს სხვათა უფლებებს“.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში, სხვა დანარჩენთან ერთად, საჯარო ინტერესებს განეკუთვნება ტერიტორიების უსაფრთხო განვითარება.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ეს კანონი განსაზღვრავს: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, ფიზიკური პირების (შემდგომ – მოსახლეობა) და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს“. სამოქალაქო უსაფრთხოების ცნების ქვეშ, ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოიაზრება ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მოიცავს: საგანგებო სიტუაციის პრევენციას და საგანგებო სიტუაციის შედეგების მიტიგაციას; სახანძრო უსაფრთხოებას, მათ შორის, ხანძრის პროფილაქტიკის ორგანიზებას, მის ჩაქრობას და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებას; სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტის უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფას და ა. შ.

ამავე კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისთვის მიკუთვნებული ობიექტებია: მრავალფუნქციური შენობები და კომპლექსები, სავაჭრო ცენტრები, კომპლექსები და ჰიპერმარკეტები, საკლუბო და გასართობ-დასასვენებელი ცენტრები 300 მ2-ზე მეტი ფართობით, 100 და მეტადგილიანი სასტუმროს, ტურისტული ბაზის, სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და კემპინგის შენობა-ნაგებობები“, ხოლო ამავე კანონის 56-ე მუხლის მე-13 პუნქტი ადგენს აღნიშნული ნორმატიული აქტით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების სფეროში შესაბამისობის დადგენის 2016 წლის 1 იანვრიდან განხორციელების ვალდებულებას.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შემუშავებული და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების“ (შემდგომში - „N371 დადგენილება“) მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, მრავალფუნქციურია შენობა, რომელიც მოიცავს გეგმარების ხერხებით ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ ან მეტ ფუნქციურ-გეგმარებით კომპონენტს.

საქმის მასალებში წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად, სადავო აქტებით შეთანხმებული/ნებადართული ობიექტი, თავისი ფუნქციურ-გეგმარებითი კომპონენტის გათვალისწინებით, წარმოადგენს მრავალფუნქციურ კომპლექსს/შენობას. აღნიშნულის თაობაზე გასაჩივრებულ ბრძანებებში დაფიქსირებულია პირდაპირი მითითება. დასახელებულ გარემოებაზე დაყრდნობით, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ საპროექტო შენობა-ნაგებობა მოაზრებული უნდა იქნეს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისთვის მიკუთვნებულ ობიექტებს შორის.

№371 დადგენილების 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნორმატიულ-ტექნიკური მუშაობა წარმოადგენს ზედამხედველობის ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, რომელიც მოიცავს ზედამხედველობის ორგანოების უფლებამოსილი თანამდებობის პირების, როგორც სხვა

ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობას სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას მიკუთვნებული ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში (ადმინისტრაციული წარმოების შესაბამის სტადიაზე), აგრეთვე მათ მიერ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდის და სათანადო აქტის გაფორმებას, სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის (დადასტურების) ორგანიზებას და განხორციელებას.

ამავე დადგენილების 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ზედამხედველობის ორგანოებში, მშენებლობის ნებართვის გამცემი უფლებამოსილი სამსახურის წარდგინებით, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორები სამოქმედო ტერიტორიის საზღვრებში აწარმოებენ: სახანძრო ზედამხედველობას მიკუთვნებული ობიექტების წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის დადგენილ ვადებში განხილვას და სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ წერილობითი დასკვნის მომზადებას“.

საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულების (მრავალფუნქციური) გათვალისწინებით, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არქიტექტურის სამსახური ვალდებული იყო მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ჩაერთო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანო, რაც თავის მხრივ, ემსახურება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, როგორც განსაკუთრებული ღირებულების მქონე სამართლებრივი სიკეთეების დაცვას.

№57-ე დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, „მშენებლობის ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების დადგენა ხორციელდება შემდეგი პრინციპებით: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება; უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ კანონმდებლობის იმპერატიული დანაწესის თანახმად, არქიტექტურის სამსახური ვალდებულია, მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას დაიცვას მშენებლობის ნებართვის გაცემის ისეთი ფუნდამენტალური პრინციპები, როგორიცაა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება და უზრუნველყოს ამისათვის უსაფრთხო გარემო. განსახილველ შემთხვევაში კი, როგორც უკვე აღინიშნა, გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის დროს არქიტექტურის სამსახურის მიერ არ ყოფილა გამოკვლეული ისეთი არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, როგორიცაა საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობა სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ აღნიშნული თვალსაზრისით, დარღვეულია სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის ის წესები, რომელიც რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის N3563881 ბრძანება ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

რაც შეეხება საჩივრის ავტორების მოთხოვნას არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 ოქტომბრის N3592157 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს შემდეგს:

№57 დადგენილების 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია ამ დადგენილების შესაბამისად გაცემული მშენებლობის ნებართვა. ამავე დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა ახალ მშენებლობაზე (მათ შორის მონტაჟზე). ამავე დადგენილების 76-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „IV კლასის შენობა-ნაგებობის ახალი მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების, ამ დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის, სამშენებლო დოკუმენტის პროექტის და სათანადო საექსპერტო დასკვნის საფუძველზე“. ამავე დადგენილების 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო III სტადიაზე გამოსცემს მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ამდენად, IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებისა და შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში კი, ვინაიდან დგინდება, რომ არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის N3563881 ბრძანება არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ მიღებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, არსებობს ამავე სამსახურის 2017 წლის 6 ოქტომბრის N3592157 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველიც.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ყურადღებას მიაქცევს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით საჩივრის ავტორების კანონიერი ინტერესებისთვის ზიანის მიყენების გარემოებაზეც და აღნიშნავს, რომ ვინაიდან არქიტექტურული პროექტი შეთანხმებულია იმ ტიპის ხარვეზებით, რაც გამოიწვევს მოძრაობის შეფერხებას საერთო სარგებლობის გზაზე, მაშინ როდესაც აღნიშნული გზა წარმოადგენს საჩივრის ავტორების საკუთრებაში არსებულ ფართებამდე მისასვლელს, საფუძველს მოკლებულია აპელირება პირდაპირი და უშუალო ზიანის არარსებობის ფაქტზე.

რაც შეეხება საბჭოს N3041974 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნას, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს შემდეგს:

ზემოხსენებული დოკუმენტით გიორგი ჭუმბურიძეს, არქიტექტურის სამსახურში მის მიერ წარდგენილი 2017 წლის 10 იანვრის NAR1469743 განცხადების პასუხად

ეცნობა, რომ საბჭოს 2017 წლის 18 იანვრის სხდომაზე დადებითი შეფასება მიეცა, ქ. თბილისში, ვარკეთილი, ზემო პლატო, მე-2 მ/რ-ში მდებარე N22 კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (ს/კ: N01.19.20.003.094) ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ზემოაღნიშნული ნორმების სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ N3041974 დოკუმენტი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან ატარებს მხოლოდ საინფორმაციო ხასიათს. მის საფუძველზე არ ხდება რაიმე უფლების/მოვალეობის წარმოშობა, შეცვლა, შეწყვეტა ან დადასტურება. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას, შეისწავლოს ზემოხსენებული დოკუმენტის კანონიერების საკითხი ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს“. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების

საფუძველზე“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის შედეგად, ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტები არ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რის გამოც არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

ამასთან, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 ნოემბრის N1-2637 ბრძანებით შეჩერებულ იქნა არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 ოქტომბრის N3592157 ბრძანების მოქმედება განსახილველ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. შესაბამისად, ვინაიდან არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I, IV, VI, XIII თავების, 60[1] მუხლის, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულებისა“ და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებს:

1. დაკმაყოფილდეს ვაჟა გურჩიანის და სხვათა 2017 წლის 2 ნოემბრის N19/0117306652-01, ასევე ვაჟა გურჩიანისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „კერიის“ წარმომადგენლის რატი ქვარიანის 2017 წლის 13 ნოემბრის N19/0117317317-01 და ამავე საჩივრის ავტორების წარმომადგენლის, ა(ა)იპ „ჩემი ქალაქი - ქალაქის გულშემატკივართა და ქალაქზე მზრუნველთა ერთობის“ დირექტორის, თეიმურაზ კალანდაძის 2017 წლის 1 დეკემბრის N19/0117335119-01 ადმინისტრაციული საჩივრები.
2. ბათილად იქნას ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის N3563881 და 2017 წლის 6 ოქტომბრის N3592157 ბრძანებები.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდგომ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი.
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 ნოემბრის N1-2637 ბრძანება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 ოქტომბრის N3592157 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე.
5. ბრძანების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული პირის მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე

ჩასულია № 01-02/5433
26 07 2017 წ.
ფურცელი

შპს „ევროპული სამშენებლო ჰოლდინგი"-ს დირექტორს

ბ-ნ პარვიზ საიდოვს

თქვენი 2017 წლის 14 ივლისის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „კავკასუს ონლაინი"-ს საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა 2016 წლის 1 აგვისტოდან გადაეცა შპს „მაგთიკომს". კომუნიკაციების შესახებ ინფორმაციისთვის გთხოვთ, მიმართოთ ზემოხსენებულ კომპანიას.

პატივისცემით,

გიორგი შანიძე

გენერალური დირექტორი

შპს კავკასუს ონლაინი კანცელარია 211380833 Chancellery Caucasus Online LLC

ვაჟა ფშაველას 71, თბილისი, 0186, ტელ: +995 32 2200000, ფაქსი: +995 32 2480048 info@co.ge, www.co.ge

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს "მაგთიკომი"
№ 17/07/12-7
"12" 07 2017წ.

შპს „ევროპული სამშენებლო ჰოლდინგი“-ს
დირექტორს ბატონ პარვიზ საიდოვს

ბატონო პარვიზ,

თქვენი, 2017 წლის 11 ივლისის წერილის პასუხად გაცნობებთ რომ, შპს „მაგთიკომი“ ეთანხმება თქვენს მიერ წარმოდგენილ სამშენებლო პროექტს ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, მე-2 მ.რ. #22გ-ს მოპირდაპირედ სამშენებლო სამუშაოების თაობაზე და გაცნობებთ რომ, თქვენს მიერ წარმოდგენილ დანართში მითითებულ ტერიტორიაზე არ გადის კომპანიის საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა.

პატივისცემით.

გენერალური დირექტორის მოადგილე გია კოშორიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01171932802**

თარიღი: **12.07.2017**

ადრესატი:
შპს ევროპული სამშენებლო ჰოლდინგი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405193507
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, პეტრე იბერის ქ., N24, კომერციული ფართი, სართული 1

შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფში" შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისი, ვარკეთილის დასახ. ზ/პ. II მ/რ. კორპ.#22-ის მიმდებარედ რიცხულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: (01.19.20.003.094) გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა კოდით (01.00.240) არ ფიქსირდება. აქედან გამომდინარე შ.პ.ს. "თბილსერვის ჯგუფი" წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ პროექტით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები.

შპს "თბილსერვის ჯგუფი" - მოადგილე -
გარე განათების დარგში

ვეფხვია ბაძაღუა

АО „ТЕЛАСИ“ სს „თელასი“

ნომერი: 0523/282

თარიღი: 23/05/2017

შ.პ.ს "ევროპული სამშენებლო ჰოლდინგი"-ს დირექტორს

ბატონ პარვიზ საიდოვს

ბატონო პარვიზ,

თქვენი მიმდინარე წლის 18 მაისის #0518/035 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ 01.19.20.003.094) არ გადის სს "თელასის" ბალანსზე არსებული კომუნიკაციები.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ქინქლაძე

შემსრულებელი:

ვ. სისაური

ტელ:2779999-1-7881

საქართველო, თბილისი, 0119 ვანის ქ.3
Грузия, Тбилиси 0119, ул. Ванская 3
Тел.: +995 (32) 277 99 99; Факс: +995 (32) 277 99 81
www.telasi.ge

АО „ТЕЛАСИ“ სს „თელასი“

ნომერი: 0719/354

თარიღი: 19/07/2017

შპს "ევროპული სამშენებლო ჰოლდინგის" დირექტორს პარვიზ საიდოვს

ბატონო პარვიზ,

თქვენი მიმდინარე წლის 14 ივლისის #0714/370 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს "ევროპული სამშენებლო ჰოლდინგის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.20.003.094) არ გადის სს "თელასის" ბალანსზე არსებული საჰაერო ელექტროსადენები.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ქინქლაძე

შემსრულებელი:

ვ. სისაური

ტელ:2779999-1-7881

საქართველო, თბილისი, 0119 ვანის ქ.3
Грузия, Тбилиси 0119, ул. Ванская 3
Тел.: +995 (32) 277 99 99; Факс: +995 (32) 277 99 81
www.telasi.ge

23. 05. 2017 № 1/10/343/2.3.

შ.პ.ს "ევროპული სამშენებლო ჰოლდინგის"
დირექტორს
ბატონ პარვიზ საიდოვს
ქ. თბილისი, პეტრე იბერის 24
ტელ.: 599 92 85 96

თქვენი 18.05.2017 წლის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ აღნიშნული მისამართის მიმდებარედ, ქ. თბილისი, ვარკეთილის II მ.რ 22-ე კორპუსის მიმდებარედ (ს.კ 01.19.20.003.094), გადის შ.პ.ს. "ახტელის" მიწისქვეშა კომუნიკაცია.

შ.პ.ს. "ახტელი" არ არის წინააღმდეგი სამუშაოების ჩატარების იმ პირობით, რომ სამუშაოები ჩატარდება ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით.

სამუშაოების დაწყების წინ, გთხოვთ გამოიძახოთ ჩვენი წარმომადგენელი. სამუშაობის მსვლელობის დროს ჩვენი საკუთრების ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება დაგეკისრებათ თქვენ, მიუხედავად ბრალეულობისა.

ტელ.: 11 00 00

დანართი: 1. ნახაზი 1 (ერთი) ცალი. (დანართი #1)

პატივისცემით,
დირექტორი /ნ. შარაშენიძე /

შემსრულებელი: ე.ვარძელაშვილი ტელ: 2-541-676


სიტუაციური გეგმა
490000
4620000
ალექსიძე დიმიტრისალექსიძე დიმიტრის
საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა
საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა
N
ობიექტი
ხომლელი რომანოზის
აბაშვილი გიორგის
37.6
59.7
26.6
133.7
40.2
7.4
55.4
26.5
11
31.9
22.5
87.2
49.9
24.3
12.8
22.7
7.7
8.4
43.6
5.7
32.6
60.5
37.4
62.4
20.8
13.2
13.8
22.8
62.8
81.4
70.3
17.9
63.6
16.4
მ/კ 76-02
მ/კ 76
მ/კ 76-118
მ/კ 76
0
45
90
მ
მის :ვარკეთილის II მ.რ 22-ე კორპუსის მიმდებარედ
თარიღი: 23.05.2017
პირობითი აღნიშვნები:
მასშტაბი: 1:2,620
არსებული საკაბელო ბოძი
არსებული საშუალო ბოძი
საჰაერო საკომუნიკაციო არხი
საკანალიზაციო არხი
საკომუნიკაციო ჭა
გამანაწილებელი კარადა
შ.პ.ს ახტელი
პოლიტკოვსკაიას № 42
ტელ. : +(995) 32 11 00 00
პრ. მენეჯერი
მ. თოხაძე
კომპ. უზრ
ე. ვარძელაშვილი
შემსრულებელი
ე. ვარძელაშვილი

gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 0617-38970 D 06.06.2017

შპს ,,ევროპული სამშენებლო ჰოლდინგის“ დირექტორს
ბ-ნ პარვიზ საიდოვს
მის: პეტრე იბერის ქ. №24
(მობ. 599-32-85-96)

კომპანია ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ განიხილა თქვენი განცხადება დარეგისტრირებული №IN17-35267; დათარიღებული 19.05.17წ. ვარკეთილის მე-2 მ/რ, №22 კორპუსის მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.19.20.003.094 მიწისქვეშა კომუნიკაციების მდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემო აღნიშნულ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.19.20.003.094 კომპანიის ბალანსზე რიცხული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები არ გაედინება. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის მიწისქვეშა ქსელები, რომელთა შესახებ „კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ირაკლი ბაბუხადია
კომერციული დირექტორი

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი
GEORGIAN WATER AND POWER LTD
0179 თბილისი, მ. კოსტავას 1 შესახვევი №33
ტელ / Tel: +995 (32) 293 11 11; ფაქსი / Fax: +995 (32) 298 26 07
№33, 1st Lane, M. Kostava str. 0179, Tbilisi, Georgia
ელ-ფოსტა / E-mail: info@gwp.ge / www.gwp.ge

სილქნეტი
SILKNET
ყველაფერი კავშირშია

N 2372/24-8 "25" 05 2017

შპს „ევროპული სამშენებლო ჰოლდინგი"-ს დირექტორს

ბატონ პარვიზ საიდოვს, ტელ: 599-92-85-96 & 599-928-596

ბატონო პარვიზ,

თქვენგან შემოსული წერილი (8/2630 – 19/05/2017)-ს პასუხად, რომელიც ითვალისწინებს თქვენს მოთხოვნას, გაცნობოთ სს „სილქნეტი"-ს კომუნიკაციის არსებობის შესახებ ინფორმაცია, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისში, ვარკეთილის II-მკ/რ, 22-ე კორპუსის მოპირდაპირედ, (ს/კ: 01.19.20.003.094)

გაცნობებთ, რომ წერილში აღნიშნულ ტერიტორიაზე არ გადის სს „სილქნეტი"-ს კუთვნილი კომუნიკაცია.

დანართი: 1. ამონაწერი რეესტრიდან 4-ფურცელი
2. ტოპოგრაფიული გეგმა 1-ფურცელი

პატივისცემით

ტექნიკური განვითარებისა და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
რევაზ ღვინიაშვილი

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95
ტელ: (+995 32) 2 100 100
ფაქსი: (+995 32) 2 100 001
www.silknet.com

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Phone: (+995 32) 2 100 100
Fax: (+995 32) 2 100 001
www.silknet.com



"შეთანხმებულია"
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე
ბ. ბალთაძე
"შეთანხმებულია"
ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე
ლ. ჯოხაძე
ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი
საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა
3.24
5.20
ზემო პლატო
II მკრ.
1.26
1.21.3
3.24
2.3
21
15.00 %
30
1.21.2
1.26
4.2.2
40
3.20
3.24
ხიმშიაშვილის ქ.
დროებითი საგზაო ნიშნები
პირობითი ნიშნები.
1.21.2 1 - ცალი
1.21.3 1 - ცალი
1.26 2 - ცალი
3.20 2 - ცალი
3.24 2 - ცალი
3.24 2 - ცალი
3.31 2 - ცალი
4.2.1 1 - ცალი
4.2.2 1 - ცალი
ყვითელი ციმციმა 2 - ცალი
სასიგნალო ლენტი
საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საექსპერტო ცენტრი
შ.პ.ს „ევროპული სამშენებლო ჰოლდინგი" ქ. თბილისი, ვარკეთილის დას. ზემო პლატო II მ/რ-ნი № 22გ, ს/კ 01.19.20.003/094 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემა. საკონტაქტო პირი დათო ტელ. 551 775 599
საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემა
მ. 1:500


"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე
გ. ბულთაძე
"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"
ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე
ლ. ჯოხაძე
ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი
საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა
20
3.24
5.20
ზემო პლატო
II მკრ.
21
2.3
STOP
15.00 %
01.19.20.003.094
15.00 %
6.00 %
ხორავას ქ.
საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საექსპერტო ცენტრი
შ.პ.ს „ევროპული სამშენებლო ჰოლდინგი" ქ. თბილისი, ვარკეთილის დას. ზემო პლატო II მ/რ-ნი № 22გ, ს/კ 01.19.20.003/094 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა. საკონტაქტო პიროვნება დათო ტელ. 551 775 599
საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა
მ. 1:500

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

№ 17 33533

„20“ 07 2017 წ.

შპს „ევროპული სამშენებლო ჰოლდინგის“–ს
დირექტორს პ. საიდოვს
მის. ქ.თბილისი პეტრე იბერის 24
თქვენს 2017 წლის 18 ივლისის განცხადებაზე

გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ ქ. თბილისში ვარკეთილის დას. ზემო პლატო მე–2 მ/რ–ნი N22გ–ის მიმდებარედ გზის შესასვლელ–გამოსასვლელის მოწყობას .

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული სამუშაოების საწარმოებლად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

დანართი: “ 6 “ ფურცლად.

პატივისცემით,

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი ლევან ზუზაძე

ქ. თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38 Noe Ramishvili St., Tbilisi
ტელ./Tel.: (+995 32) 241 85 02
ფაქს/Fax: (+995 32) 2 41 85 02
E-mail: ushba@mia.gov.ge